მატჩი ხარისხის ნიშნით

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 14 ივნისი.

“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:0).

მოსკოვი: პოლგუი, პაროვი, ნოვიკოვი, ნიკულინი (ლოსევი), ბუბნოვი, პეტრუშინი, დოლმატოვი, იაკუბიკი, მაქსიმენკოვი, გერშკოვიჩი (კრამარენკო), კაზაჩონოკი.

თბილისი: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, ყიფიანი, ჩელებაძე, შენგელია.

მსაჯი: მ. რუბენისი (რიგა).

გაფრთხილებულია ქორიძე.

დუბლიორები – 1:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ბაზაზაშვილმა და წერეთელმა.

ფეხბურთში ყველაზე ცუდი ისაა, როცა მაყურებელი სტადიონიდან უკმაყოფილო გამოდის არა იმიტომ, რომ მისმა გუნდმა წააგო, არამედ იმ მიზეზით, რომ თამაში არ ვარგოდა. რას იზამ: ჯერ კიდევ საკმაოდაა ისეთი მატჩები, როცა გულშემატკივარს უფლება აქვს თქვას – ტყუილად დავკარგეო დრო.

მაგრამ სარეცენზიო მატჩი მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა შორის არ მიეკუთვნება ზემოაღნიშნულთა კატეგორიას და რომ ფეხბურთში არსებობდეს ხარისხის ოფიციალური ნიშანი, იგი მას უდავოდ იმსახურებს. თვით მოსკოვის “დინამოს” მომხრეებიც კი, რომლებიც თითქოს ასე ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, თამაშის დამთავრების შემდეგ შინისკენ გზად მიმავალნი მატჩის მრავალრიცხოვან საინტერესო მომენტებზე საუბრობდნენ და არა იმაზე, რომ ყიფიანის დარტყმამ მათ ქულა გამოაცალა ხელიდან.

ერთი სიტყვით, მატჩი ძალზე საინტერესო იყო, ტემპიანი, სწრაფი, დაძაბული პერიპეტიებით და ბრძოლით აღსავსე. საკმაო ხანს ინიციატივა ხელთ ეპყრათ მასპინძლებს, რომელთა შორის შეტევაში გამოირჩეოდნენ გერშკოვიჩი და იაკუბიკი. მე–15 წუთზე გერშკოვიჩმა გოლის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა ვერ გამოიყენა და ეს უაღრესად სახიფათო მომენტი თბილისელთათვის იმის სიგნალად იქცა, რომ საჭირო იყო მეტი ყურადღებით და მობილიზებით თამაში. სტუმრებმა სულ მცირე ხანში შეძლეს კიდეც მდგომარეობის შეცვლა და ახლა მათი თეთრი მაისურები უფრო ხშირად ჩანდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე.

მაგრამ მთავარი ამბები მაინც მეორე ტაიმში მოხდა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო გატანილი გოლები. ეს თავისთავად. ორივე კართან უამრავი საინტერესო მომენტი შეიქმნა და აქ, მე მგონი, ცოტაოდენ მოგებაში ისინი დარჩნენ, ვინც ტელევიზიით რამდენიმეჯერ ნახა ეს მომენტები გამეორებათა საშუალებით, ჩვენ კი, ტრიბუნებზე დამსწრეებმა ხეირიანად ვერც კი აღვიქვით მინდორზე კალეიდოსკოპური სისწრაფით მომხდარი ამბები.

ანგარიში 62–ე წუთზე გახსნა იაკუბიკმა. ხინჩაგაშვილმა უკნიდან წაართვა ბურთი პაროვს, იგი წაიქცა და რუბენისმა პენალტი დანიშნა. იაკუბიკის დარტყმა ზუსტი და ძლიერი იყო – 1:0.

სტუმრებმა ყველაფერი გააკეთეს ქულის სახსნელად და მიაღწიეს კიდეც საწადელს 73–ე წუთზე, როცა ყიფიანმა შეძლო წამით დაესწრო მოპირდაპირე მცველებისთვის – 1:1.

რა შეიძლებოდა მომხდარიყო ამის შემდეგ? ბურთის გატანა მოსკოველებსაც შეეძლოთ, მაგრამ საამისო შესაძლებლობა გაცილებით უფრო მეტი, რასაკვირველია, თბილისელებს ჰქონდათ, კერძოდ, ყიფიანს, შენგელიას, ქორიძესა და ხინჩაგაშვილს.

ვ. პავლოვი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 16 ივნისი, 1977 წ.